განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები, მაგისტრატურა

## სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 4 თებერვალი, 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 11 აპრილი, 2022

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 245428158 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ინჟინერიის მაგისტრი ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიაში |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | სამთო საქმე და მოპოვება 0724 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #40, 12.03.2012 |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი დურგლიშვილი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი რობაქიძე, შპს საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დავით ფუტკარაძე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2012 წლიდან ფუნქციონირებს, პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2012 წლის 12 მარტს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №40 გადაწყვეტილების შესაბამისად. პირველი აკრედიტაციის შემდეგ პროგრამაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, მოდიფიცირება განიცადა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმამ, სწავლების შედეგების რუკამ და სილაბუსებმა, ამოღებული იქნა და დაემატა სასწავლო კურსები, სასწავლო კურსების შინაარსის გათვალისწინებით დაკორექტირდა კურსების სახელწოდებები, შეიცვალა გარკვეული კურსების სტატუსი და რიგითობა და გაძლიერდა პრაქტიკის კომპონენტი.

სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს საინჟინრო განათლების მქონე, თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული კურსდამთავრებულები, შეასწავლოს ნავთობისა და გაზის მოპოვების მეთოდები, შეასწავლოს სტუდენტს ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიებში გამოყენებული აღჭურვილობებისა და ნაგებობების ჰიდრავლიკური და კონსტრუქციული გაანგარიშება და მოამზადოს ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიების მაგისტრი ღრმა და
სისტემური ცოდნით, კომუნიკაციის უნარებით, რომელიც ადვილად შეძლებს დინამიკურად ცვლად გარემოში ორიენტირებას, საკუთარი უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვას თანამედროვე ტენდენციების გამოყენებით.

პროგრამით უზრუნველყოფილი ადამიანური, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი ემსახურება ზემოთ აღნიშნული მიზნების მიღწევას. ამასთან, პროგრამის მიზნები თავსებადია სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების“ შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 10 იანვრის №6692 ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა დისტანციური ვიზიტი 2022 წლის 4 თებერვალს ZOOM პლატფორმის მეშვეობით. აკრედიტაციის ვიზიტამდე შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინამოსამზადებელი შეხვედრა ასევე ZOOM პლატფორმის ფორმატში, სადაც განხილული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი მასალების შინაარსი. შეხვედრის ფარგლებში, მოხდა ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილება და სააკრედიტაციო ვიზიტის დღის წესრიგში სესიების მიხედვით დასასმელი შეკითხვების დაზუსტება აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით.

ვიზიტის მიმდინარეობისას, დღის წესრიგის მიხედვით, ერთი დღის განმავლობაში ჩატარდა გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

ასევე, ონლაინ რეჟიმში შემოწმდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საბიბლიოთეკო რესურსებისა და ლიტერატურის ხელმისაწვდომობა და სამეცნიერო ბაზებთან წვდომა. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მხარეებთან ინტერვიუები განხორციელდა კონსტრუქციულად და თანამშრომლობით გარემოში; ექსპერტთა ჯგუფი ხელმძღვანელობდა აკრედიტაციის სტანდარტების აღწერილობით/შეფასების კრიტერიუმებით კითხვების დასმის პროცესში. შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტებმა იმსჯელეს ვიზიტისას გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, ჩამოაყალიბეს ზოგადი მიგნებები და გაუზიარეს უსდ-ს წარმომადგენლებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

დოკუმენტაციის შესწავლისა და ექსპერტთა ჯგუფის სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, მივიღეთ სტანდარტების შემდეგი შესაბამისობა:

- **სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- **სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- **სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- **სტანდარტი 4: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- **სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

- **რეკომენდაციები**

**1.1 პროგრამის მიზნები**

- რეკომენდებულია გაძლიერდეს აქცენტი ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულებაზე, მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით.

**1.2. პროგრამის სწავლის შედეგები**

- რეკომენდებულია, ნავთობისა და გაზის საბადოს დამუშავების პროექტის შესადგენად პროგრამაში საჭირო საკითხების დამატება.

**2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**

- მიზანშეწონილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაკონკრეტდეს შესაბამისი უცხო ენების ჩამონათვალი და ენის ცოდნის დონე.

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

- რეკომენდებულია, პროგრამაში გაძლიერდეს ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულება, შესაბამისი სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურს(ებ)ის დამატებით და/ან არსებული კურსების სილაბუსის გაღრმავებით.

**2.3. სასწავლო კურსი**

- მიზანშეწონილია, სილაბუსებში სწავლის შედეგების ფარგლები გაიწეროს კონკრეტულად, ცოდნის გამოყენების დონეების მითითებით, ისე რომ შედეგები იყოს გაზომვადი და შეფასებადი ყველა მომხმარებლისათვის (მაგ. ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით);
- რეკომენდებულია, დაიხვეწოს ტერმინოლოგია „პროდუქტიულ ფენაზე ზემოქმედების მეთოდების“ სილაბუსში;
- მიზანშეწონილია, ნავთობისა და გაზის მოპოვების სილაბუსში პრაქტიკული საკითხების წამოწევა და გაძლიერება, ასევე, ნავთობისა და გაზის მომზადების საკითხები უმჯობესია გამოეყოს ამ სილაბუსს.

**3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

- რეკომენდებულია, პროგრამამ უზრუნველყოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეთავაზება ნავთობისა და გაზის მოპოვების თემატიკის კვლევით დაინტერესებული სტუდენტებისათვის.

**4.1. ადამიანური რესურსი**

- რეკომენდებულია ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულებით ადამიანური რესურსის რაოდენობის გაზრდა.

**4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება**

- მიზანშეწონილია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებასა და ფორმულირებასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების ორგანიზება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**1.1 პროგრამის მიზნები**

- სასურველია, პროგრამის მეორე მიზნის ფორმულირება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად „ნავთობისა და გაზის მოპოვება და სასაქონლო კონდიციამდე დაყვანა“.

**2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**

- სასურველია, საგამოცდო ბილეთებში უფრო ვრცლად აისახოს საკითხები ნავთობგაზსარეწაო გეოლოგიიდან.

**2.3. სასწავლო კურსი**

- სასურველია, გამრავალფეროვნდეს და გაფართოვდეს ლიტერატურა ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულებით.

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

- გარდა სილაბუსებში მითითებული ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოებისა, სასურველია აქცენტი გაკეთდეს მეტ პრაქტიკული ანგარიშებზე.

**2.6. სტუდენტების შეფასება**

- სასურველია, შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების ფორმების გამრავალფეროვნება, კურსის სპეციფიკისა და სწავლის შედეგების შესაბამისად.

**3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება**

- სასურველია გააქტიურდეს მუშაობა საერთაშორისო კონფერენციებში და გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

**4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**

- სასურველია პროგრამის ბიუჯეტში იყოს დეტალურად გაწერილი ის თანხები, რაც უსდ-ის ცენტრალური ბიუჯეტიდან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალისა და სტუდენტების ხელშეწყობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისთვის იხარჯება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- მისასალმებელი პრაქტიკაა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სტუდენტური პორტალი, რომელიც გამოირჩევა თავისი მულტიფუნქციური შესაძლებლობებით.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- **ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის თაობაზე**

წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესაბამისად, ინსტიტუცია უმეტესად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით და აღსანიშნავია, რომ გარკვეული ქმედებები უკვე დაგეგმილია და განხორციელებულია აღნიშნული მიმართულებით.

შესაბამისად, რეკომენდაციებისა და რჩევების ნაწილი ექსპერტთა შეფასებით რჩება უცვლელი, აქვე გთავაზობთ რამდენიმე კომენტარს იმ რეკომენდაციებთან მიმართებით რომელთაც არ იზიარებს ინსტუტუცია.

**რეკომენდაცია (1.1):** ინსტიტუცია იზიარებს რეკომენდაციას

**რეკომენდაცია (1.2):** ინსტიტუცია იზიარებს რეკომენდაციას

**რეკომენდაცია (2.1):** აღნიშნული რეკომენდაცია ემსახურება სტუდენტთათვის სრულყოფილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და ინფორმირებას, ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს პროგრამის კატალოგში ან/და შესაბამის საინფორმაციო სივრცეში აღნიშნული ინფორმაციის საჯაროდ განთავსებას.

**რეკომენდაცია (2.2):** ინსტიტუცია იზიარებს რეკომენდაციას

**რეკომენდაცია (2.3-ა):** ექსპერტთა მოსაზრება განპირობებულია აუცილებლობით, რომ კურსით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგი იყოს გაზომვადი. გამოყენებულ იქნას აქტიური ზმნები და ავირიდოთ ისეთი ბუნდოვანი ტერმინების როგორიცაა შეუძლია, იცის და სხვ. აღნიშნული თავისმხრივ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისათვის შესაბამისი კომპონენტებისა და კრიტერიუმების განსაზღვრას.

**რეკომენდაცია (2.3-ბ):** ინსტიტუცია იზიარებს რეკომენდაციას

**რეკომენდაცია (3.2):** აღსანიშნავია უსდ-ს პრაქტიკა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა მოწვევის მიმართულებით. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს ხელმძღვანელის არსებობას ერთ-ერთი ძირითადი საკვლევი თემატიკის - მოპოვების მიმართულებით. აღნიშნული უზრუნველყოფს სტუდენტთა უზრუნველყოფას საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების მქონე პროფესიონალ(ებ)ით.

**რეკომენდაცია (4.1):** ინსტიტუცია იზიარებს რეკომენდაციას

**რეკომენდაცია (4.2):** ექსპერტთა მოსაზრებით აღნიშნული რეკომენდაციის მიზანია თითოეულ სასწავლო კურსს ჰქონდეს ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, რომელიც ცხად ინფორმაციას მისცემს ყველა დაინტერესებულ მხარეს თუ რა ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას, ავტონომიურობას გამოიმუშავებს სტუდენტი კურსის დასრულებისას. სწავლის შედეგების ფორმირებასთან დაკავშირებული საკითხების გაძლიერებით, გაცილებით გამარტივდება სწავლის შედეგ(ებ)ის სირთულის განსაზღვრა და ასევე მათი შეფასება.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისა და უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები“ ორიენტირებულია მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტები, აღჭურვილნი როგორც თეორიული და პრაქტიკული ცოდნით, ასევე პროფესიული უნარებით. საგანმანათლებლო პროგრამაში ჩამოყალიბებულია მიზნები, რომლებიც შეესაბამება, როგორც დარგის თანამედროვე მოთხოვნებს და ტექნოლოგიური ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, ასევე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას - აღზარდოს მაღალკვალიფიციური ინჟინერიის მიმართულების სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტები, რომლებიც უპასუხებენ ბაზრის მოთხოვნებსა და ღირებულ ძალისხმევას გამოავლენენ საზოგადოების განვითარებაში.<br>საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებია:<br>• მოამზადოს საინჟინრო განათლების მქონე, თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი, კონკრეტული ამოცანის დასმისა და მისი გადაწყვეტის უნარ-ჩვევებით, როგორც კლასიკური მეთოდებით, ასევე თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით;<br>• შეასწავლოს ნავთობისა და გაზის მოპოვების (ნავთობისა და გაზის მოპოვება და წინასწარი დამუშავება, პროდუქტიულ ფენაზე ზემოქმედების ტექნოლოგიები), ტრანსპორტირებისა (ნ/გ ტრანსპორტირება, |

ნავთობტერმინალების დაპროეტება) და შენახვის (ნ/გ შემადგენელი კომპონენტების ქიმიური გარდაქმნები, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მიღება, შენახვა და გაშვება...) მეთოდები;

ვინაიდან, ნავთობისა და გაზის წინასწარ დამუშავებაში მოიაზრება მომზადება სასაქონლო კონდიციამდე, სასურველია პროგრამის მიზნის ფორმულირება ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ ცხადყოფდეს ნავთობისა და გაზის მოპოვებას და სასაქონლო კონდიციამდე დაყვანას.

- შეასწავლოს სტუდენტს ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიებში გამოყენებული აღჭურვილობებისა და ნაგებობების ჰიდრავლიკური და კონსტრუქციული გაანგარიშება;
- მოამზადოს ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიების მაგისტრი ღრმა და სისტემური ცოდნით, კომუნიკაციის უნარებით, რომელიც ადვილად შეძლებს დინამიკურად ცვლად გარემოში ორიენტირებას, საკუთარი უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვას თანამედროვე ტენდენციების გათვალსიწინებით.

პროგრამის ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიურების პროცესში გამოვლინდა პროგრამის მნიშვნელობა და შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებთან. ამასთან, რეგიონში არსებული ნავთობტერმინალები, ბათუმის პორტი და ახალი ტერმინალების მშენებლობა ზრდის პროგრამის პერსპექტიულობასა და პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებს.

პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია, პროგრამის გახორციელებაში ჩართული მხარეები იზიარებენ პროგრამის კონცეპტუალურ ხედვას. ამასთან, აღსანიშნავია მათი ჩართულობის მაღალი მაჩვენებელი და ხარისხი.

ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მეტწილად პასუხობს მიღწევადობასა და რეალისტურობას, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, პროგრამის რესურსებისა და შინაარსიდან გამომდინარე. პროგრამის აღწერილობიდან ირკვევა, რომ ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულება საჭიროებს გაძლიერებას, როგორც სასწავლო კურსების დამატება/გამდიდრებით, ასევე მოპოვების მიმართულებით პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის/სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელის უზრუნველყოფით. პროგრამაში წარმოდგენილი ძირითადი სასწავლო კურსების სილაბუსებიდან, მხოლოდ 2 სილაბუსი მოიცავს ნავთობისა და გაზის მოპოვების

| |
|---|
| საკითხებს, რომელიც ვერ იქნება საკმარისი სწავლის მიზნების სრულყოფილი განხორციელებისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი, მიზანშეწონილად მიიჩნევს გაძლიერდეს აქცენტი ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულებაზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;<br>• პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>• ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 28 ივნისის №40 დადგენილება „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიისა და 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ;<br>• დამსაქმებლების, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;<br>• ხარისხის სამსახურის კვლევები;<br>• უსდ-ს ვებ გვერდი - მისია, ხედვა, ღირებულებები (www.bsu.edu.ge);<br>• ტექნოლოგიური ფაკულტეტის დებულება;<br>• განხორციელებული ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• რეკომენდებულია გაძლიერდეს აქცენტი ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულებაზე, მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>▪ სასურველია პროგრამის მეორე მიზნის ფორმულირება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად „ნავთობისა და გაზის მოპოვება და სასაქონლო კონდიციამდე დაყვანა“. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** |

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, ასევე, მასზე თანდართული დოკუმენტაციის და პროგრამის თანახმად მტკიცდება, რომ ფორმულირებულ სწავლის შედეგებში განსაზღვრულია საკვანძო მიმართულებები, რომელიც შესაბამისი კვალიფიკაციისათვის საჭირო უნარების გამომუშავებას უზრუნველყოფს; ასევე შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ *ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობას/ავტონომიურობას,* რომელიც მიღწეულ უნდა იქნას სამაგისტრო პროგრამის მიერ.

შედეგების *ცოდნა-გაცნობიერების* ნაწილში აქცენტი კეთდება ნახშირწყალბადური ნაერთების გარდაქმნების, თერმოდესტრუქციული პროცესების, მატერიალური ბალანსის თეორიული საკითხების და სხვა მეცნიერებების ინტერპრეტირებასა და კრიტიკულ გააზრებაზე, ნავთობისა და გაზის მოპოვების, დებიტის გაზრდის, წინასწარი დამუშავების, ტრანსპორტირების და შენახვის ტექნოლოგიების (მათ შორის ინოვაციური) შესაბამისი საკომუნიკაციო, საინჟინრო, ეკოლოგიური უსაფრთხოების სისტემების ერთიანად ფუნქციონირების აუცილებლობაზე და ნავთობისა და გაზის მოპოვების, წინასწარი დამუშავების, ტრანსპორტირების და შენახვის პროცესების განხორციელების დროს პროდუქტის დანაკარგების შემცირებასა და ხარისხის შენარჩუნებაზე.

პროგრამის სწავლის შედეგები ასევე აკეთებს აქცენტს გარკვეულ *უნარებზე,* როგორიცაა ნავთობისა და გაზის მოპოვების, პროდუქტიულ ფენაზე ზემოქმედების, წინასწარი დამუშავების, ტრანსპორტირების და შენახვის პროცესების ტექნოლოგიური სქემების შემუშავება და კონსტრუირება, კონსტრუქციების გაანგარიშება, პროცესების მათემატიკური მოდელირება კომპიუტერული სისტემების ძირითადი მეთოდების გამოყენებით და შესაბამისი უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით; მოპოვებული ნავთობისა და გაზის ძირითადი ფიზიკო-ქიმიური თვისებების გათვალისწინებით წინასწარი დამუშავება, ტრანზიტის და შენახვის დროს პროდუქტის ხარისხის კონტროლი და სერთიფიცირება; ერთ ფუნქციონირებად მთლიანობაში თანამედროვე ტექნოლოგიურ სქემებისა და კონსტრუქციების, საკომუნიკაციო, საინჟინრო და უსაფრთხოების სისტემების გაერთიანება და კონკრეტულ დასამუშავებელ ტექნოლოგიურ სქემებსა და კონსტრუქციების, უახლესი მეთოდების, მიდგომების გათვალისწინებით დაპროექტების ოპტიმალურ ხერხებისა და საშუალებების შერჩევა.

*ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის* ნაწილში კი პროგრამას განსაზღვრული აქვს მულტიდისციპლინურ გუნდში პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით შეთანხმებულად მუშაობის და კოორდინაციის, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებისა და პასუხისმგებლობის, სათანადო რესურსების ავტონომიურად მოძიების, ანალიზისა და სინთეზის მეშვეობით კვლევითი პროცესის დამოუკიდებლად წარმართვის პრიორიტეტები.

აღნიშნული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად განპირობებულია თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზირებით, ამ მიმართულებით სწავლის შედეგების მიღწევას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის დამატება პროგრამაში, ვინაიდან, ინსტიტუცია აქტიურად მუშაობს დამსაქმებლებთან და მუდმივად არის მათ შორის კომუნიკაცია და უკუკავშირი, სტუდენტები უზრუნველყოფილ იქნებიან პრაქტიკული ბაზითა და ცოდნის პრაქტიკაში ადაპტირების შესაძლებლობით, რაც ნამდვილად წაადგება პროგრამას.

პროგრამის სწავლის შედეგები დაჯგუფებულია 9 შედეგად, შესაბამისად იდენტიფიცირებულია სასწავლო კურსები, რომლებიც ავითარებენ შესაბამის სწავლის შედეგებს. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის რუკა მოიცავს არჩევით კურსებსაც, რაც ვერ იქნება ერთმნიშვნელოვნად რელევანტური იმის გასაზომად უზრუნველყოფს თუ არა კურიკულუმი პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებას სტუდენტებში. სწავლის შედეგების მე-5 პუნქტის შესაბამისად, ერთ-ერთ შედეგად განსაზღვრულია „ქმნის ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიურ პროექტს ნავთობისა და გაზის საბადოს დამუშავებაზე, მილსადენებზე, ტერმინალებზე მათემატიკური მოდელირების, მექანიკის ძირითადი მეთოდების გამოყენებით ტექნიკური, ფუნქციური, ეკოლოგიური, უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით“. თუმცა, პროგრამაში თემატიკით „ნავთობისა და გაზის საბადოს დამუშავება“ სილაბუსი არ არის. რაც შეეხება „პროდუქტიული ფენაზე ზემოქმედების მეთოდების“ კურსს, მასში მოცემული საკითხები დაკავშირებულია ჭაბურღილის ფენთან მიმდებარე სანგრევისპირა ზონის დამუშავებაზე ან ჭაბურღილების რამდენიმე ჯგუფის რეაგირებაზე. შესაბამისად, აღნიშნული მასალა არ არის საკმარისი ნავთობისა და გაზის საბადოს დამუშავების პროექტის შესადგენად. რეკომენდებულია, ნავთობისა და გაზის საბადოს დამუშავების პროექტის შესადგენად საჭირო საკითხების დამატება პროგრამაში.

პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდების მეშვეობით, აქვე აღსანიშნავია, რომ სწავლების პროცესის შეფასების მექანიზმები შესაბამისობაშია როგორც საქართველოს კანონმდებლობასთან, ასევე უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მისიასთან და სწავლება-სწავლის მეთოდებთან.

ბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხდება პროგრამაში გაწერილი მისანიჭებელი კვალიფიკაციის, პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის დადგენით. შეფასებაში ჩართულია პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები კი იღებენ სისტემატურ უკუკავშირს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის თაობაზე. დაინტერესებულ პირთა გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე, დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდება რეკომენდაციები, რომლის შესაბამისად პროგრამა გადის შეფასებას

| |
|---|
| კურიკულუმის კომიტეტში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>• სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;<br>• კურიკულუმის რუკა;<br>• პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;<br>• დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;<br>• ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს სხდომების ოქმები;<br>• ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული შეფასების შედეგების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“. https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9054_1.pdf;<br>• პროგრამის სამუშაო ჯგუფის ოქმები;<br>• განხორციელებული ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• რეკომენდებულია, ნავთობისა და გაზის საბადოს დამუშავების პროექტის შესადგენად საჭირო საკითხების დამატება პროგრამაში. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | X | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთიანი სამაგისტრო გამოცდების გავლის საფუძველზე, მობილობის პროცესისა ან უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ჩარიცხვის დადგენილი პროცედურების შესაბამისად. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ტესტურ გამოცდას სპეციალობაში და უცხო ენაში. პროგრამა ღიაა ყველა დაინტერესებული პირისათვის. სხვა სპეციალობის კურსდამთავრებულს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის პროფესორ-მასწავლებლები უტარებენ კონსულტაციებს და აძლევენ დამატებითი ცოდნის მიღების საშუალებას. |

| |
|---|
| საგამოცდო თემატიკა, შესაბამისი ლიტერატურის მითითებით ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით. სპეციალობაში გამოცდა ტარდება წერითი/ტესტური ფორმით, თემატიკა - კრებსითი, რომელიც აღებულია სპეციალობის სასწავლო კურსებიდან. სასურველია საგამოცდო ბილეთებში უფრო ვრცლად აისახოს საკითხები ნავთობგაზსარეწაო გეოლოგიიდან.<br>აღსანიშნავია, რომ ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა ჩანაწერი „უცხო ენის ცოდნის დონე“, ძირითადად გულისხმობს ინგლისური და რუსული ენის ცოდნის B2 დონეს, ლიტერატურის ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე. თუმცა, სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია სხვა ენის განსაზღვრაც უცხო ენის ფლობის კომპეტენციის დასადასტურებლად. მიზანშეწონილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაკონკრეტდეს შესაბამისი ენების ჩამონათვალი და უცხო ენის ცოდნის დონე.<br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სამართლიანია და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს დაშვების წინაპირობების საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>• ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“;<br>• უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (www.bsu.edu.ge);<br>• განხორციელებული ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• მიზანშეწონილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაკონკრეტდეს შესაბამისი ენების ჩამონათვალი და უცხო ენის ცოდნის დონე. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>• სასურველია საგამოცდო ბილეთებში უფრო ვრცლად აისახოს საკითხები ნავთობგაზსარეწაო გეოლოგიიდან. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი მარეგულირებელი წესების ამსახველი დოკუმენტის - „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის“ საფუძველზე. პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუს შედეგები ადასტურებს პროგრამის შემუშავების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებულ პირთა ჩართულობას. ფაკულტეტზე დანერგილია პროგრამის განვითარების კომიტეტის ფუნქციონირების პრაქტიკა. ასევე, პროგრამის შემუშავებაში ჩართულნი არიან დაინტერესებული მხარეები (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა). პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე საჯაროდ.

პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების და სამაგისტრო ნაშრომისაგან, რაც მთლიანობაში მოიცავს 120 კრედიტს (ECTS). სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის განსაზღვრულია 110 კრედიტი (მათ შორის სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი), პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსებისთვის – 10 კრედიტი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგად, გამოიკვეთა გარკვეული საჭიროებები პროგრამის სწავლის შედეგების სრულყოფილად მისაღწევად. სასწავლო გეგმის შესაბამისად, ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის მიმართულებით, მოცემულია 10 სილაბუსი, ამათგან მხოლოდ ორი სილაბუსი აძლევს

| |
|---|
| სტუდენტს ცოდნას ნავთობისა და გაზის მოპოვების საკითხებში, დანარჩენი 8 ნაწილდება ტრანსპორტირებასა და შენახვაზე. ექსპერტთა ჯგუფი, მიზანშეწონილად მიიჩნევს სპეციალობის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს დაემატოს სილაბუს(ებ)ი მოპოვების საკითხებში და/ან გაღრმავდეს არსებული სილაბუსების თემატიკა.<br>პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პარალელურად, ერთ-ერთი შედეგია ტექნოლოგიური პროექტის შექმნა ნავთობისა და გაზის საბადოს დამუშავებაზე, თუმცა პროგრამაში, როგორც დისციპლინა მსგავსი სილაბუსი არ არის. რაც შეეხება სილაბუსს - „პროდუქტიულ ფენაზე ზემოქმედების მეთოდები“, მასში მოცემული საკითხები დაკავშირებულია ჭაბურღილის ფენთან მიმდებარე სანგრევისპირა ზონის დამუშავებაზე ან ჭაბურღილების რამდენიმე ჯგუფის რეაგირებაზე. აღნიშნული მასალა არ არის საკმარისი ნავთობისა და გაზის საბადოს დამუშავების პროექტის შესადგენად. რეკომენდებულია, ნავთობისა და გაზის საბადოს დამუშავების საკითხების გაძლიერება პროგრამაში.<br>პროგრამაში შემავალი სასწავლო და კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის დალაგებული; პროგრამა ითვალისწინებს შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობებს. ასევე, უზრუნველყოფს არჩევითი კომპონენტის შესაძლებლობას 10 ECTS კრედიტის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ პროგრამას დაემატა საწარმოო პრაქტიკა, რომლის მიზანია სპეციალურ დისციპლინებში მიღებული ცოდნის გაღრმავება და პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;<br>• პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>• სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;<br>• კურიკულუმის რუკა;<br>• პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;<br>• ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;<br>• პროგრამის სამუშაო ჯგუფის ოქმები;<br>• განხორციელებული ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• რეკომენდებულია, პროგრამაში გაძლიერდეს ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულება, შესაბამისი სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურს(ებ)ის დამატებით და/ან არსებული კურსების სილაბუსის გაღრმავებით. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები შედგენილია ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის შესაბამისად. სამაგისტრო პროგრამის წარმოდგენილი სასწავლო კურსების (სავალდებულო და არჩევითი) შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურს და პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა ფასდება და სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. თითოეული სასწავლო კურსისთვის მოცემულია სწავლის შედეგები, თუმცა სილაბუსების უმრავლესობაში სწავლის შედეგების ფარგლები არ არის ცხადი მომხმარებლისთვის (სტუდენტისთვის, პროფესორისთვის, ხარისხის სამსახურისთვის), უნარებში არ ჩანს მისი ცოდნის გამოყენების დონეები. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ აღნიშნულ სილაბუსებში სწავლის შედეგების ფარგლები უნდა გაიწეროს ცხადად, იგულისხმება, რომ შედეგები უნდა იყოს გაზომვადი და შეფასებადი ყველა მომხმარებლისათვის (მაგ. ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით). |

| |
|---|
| სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილი საკრედიტო მოცულობა უზრუნველყოფს თითოეული კურსით გათვალისწინებული თემების შესწავლას. პროგრამის სტრუქტურაში თვალსაჩინოა თითოეული სასწავლო კურსის ორგანიზება სემესტრების მიხედვით.<br><br>სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სასწავლო კურსების ანალიზმა გამოავლინა გარკვეული ცვლილებების განხორციელების საჭიროება სილაბუსებში. კერძოდ, სილაბუსი „პროდუქტიულ ფენაზე ზემოქმედების მეთოდები“ საჭიროებს ტერმინოლოგიის დახვეწას. პროდუქტიული ფენის შედგენილობა და ძირითადი ტექნოლოგიური პარამეტრი უნდა გულისხმობდეს პროდუქტიული ფენის შედგენილობას და ფილტრაციულ პარამეტრს, ხოლო ფენის ფილტრაციული სიჩქარის ცვლილება მოიაზრებს ფენის ფილტრაციული ნაკადის ან მიმართულების ცვლილებას. ასევე, მიზანშეწონილია, ნავთობისა და გაზის მოპოვების სილაბუსში პრაქტიკული საკითხების წამოწევა და გაძლიერება, ასევე, ნავთობისა და გაზის მომზადების საკითხები უმჯობესია გამოეყოს ამ სილაბუსს.<br>სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება დარგის მოთხოვნებს. სასწავლო კურსების ნაწილში მომზადებულია სალექციო კურსის/რიდერის ელექტრონული ვერსია, რომელიც სტუდენტს ეგზავნება სასწავლო კურსის დარეგისტრირებისთანავე. თუმცა, სასურველია გამრავალფეროვნდეს და გაფართოვდეს ლიტერატურა ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;<br>• პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>• სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;<br>• კურიკულუმის რუკა;<br>• პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;<br>• ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;<br>• ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ნოემბრის № 06-01/131 დადგენილება „ბსუ-ს ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ“;<br>• საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმები;<br>• ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 29 მაისის № 01-02/51 ბრძანება „ბსუ-ს ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე კურიკულუმის კომიტეტის შემადგენლობისა და სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“;<br>• ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №26-05/8 ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ივნისის №06-01/34 დადგენილება „ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამის „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის“ დამტკიცების შესახებ;<br>• განხორციელებული ინტერვიუს შედეგები. |

**რეკომენდაციები:**

- მიზანშეწონილია სილაბუსებში სწავლის შედეგების ფარგლები გაიწეროს კონკრეტულად, ცოდნის გამოყენების დონეების მითითებით, ისე რომ შედეგები იყოს გაზომვადი და შეფასებადი ყველა მომხმარებლისათვის (მაგ. ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით);
- რეკომენდებულია დაიხვეწოს ტერმინოლოგია „პროდუქტიულ ფენაზე ზემოქმედების მეთოდების“ სილაბუსში;
- მიზანშეწონილია, ნავთობისა და გაზის მოპოვების სილაბუსში პრაქტიკული საკითხების წამოწევა და გაძლიერება, ასევე, ნავთობისა და გაზის მომზადების საკითხები უმჯობესია გამოეყოს ამ სილაბუსს.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია გამრავალფეროვნდეს და გაფართოვდეს ლიტერატურა ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულებით.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებისთვის პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე. პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, მეტწილად უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული და კვლევითი უნარების გამომუშავებას.
პროგრამაში შემოთავაზებულია პრაქტიკის შერეული მოდელი, გულისხმობს თეორიულ კურსებში ჩაშენებულ პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებსა და საწარმოო პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსის განხორციელებას. სასწავლო კურსებში ინტეგრირებული პრაქტიკულ/ლაბორატორიული სამუშაოები მეტწილად გულისხმობს სტუდენტების მხრიდან თეორიული სწავლების პარალელურად ლაბორატორიებში პრაქტიკული დავალებების შესრულებას, რაც გათვალისწინებულია კონკრეტული სასწავლო კურსების სილაბუსებით. სასურველია, გარდა სილაბუსებში მითითებული ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოებისა, განსაზღვრული იყოს მეტი პრაქტიკული ანგარიშების წარმოება სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარების მეტად უზრუნველსაყოფად.
აღსანიშნავია საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პროცესში მჭიდრო თანამშრომლობა პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან. პრაქტიკის ძირითადი ობიექტია ბათუმის ნავთობტერმინალი, რომლის წამომადგენლებთან ერთად აქტიურად ხდება პრაქტიკის კურსის მიზნებისა და შედეგების, ასევე აღნიშნული შედეგების მიღწევის დონის განხილვა. სტუდენტები ბსუ-ში გადიან წინამოსამზადებელ პერიოდსა და შეფასებას, ვიდრე გაივლიან საწარმოო პრაქტიკას ობიექტებზე. შესწავლილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით დადასტურდა, რომ პრაქტიკის განმახორციელებელი კომპანიების წარმომადგენლები კარგად იცნობენ პროგრამას, პრაქტიკის მიზნებს და უზრუნველყოფენ ყველა სტუდენტის უზრუნველყოფას როგორც პრაქტიკის გავლის შესაძლებლობით, ასევე კვალიფიციური პერსონალით სტუდენტის საქმიანობის შესაფასებლად.
გარდა პრაქტიკული კომპონენტისა, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა სრულდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით და დაცვით (30 ECTS). სამაგისტრო ნაშრომი უნდა შედგებოდეს ზოგადი, ტექნოლოგიური, კონსტრუქციული, სპეციალური (კვლევითი) და შრომის უსაფრთხოების ნაწილებისაგან. რომლის მეშვეობით, სტუდენტი სისტემატიზაციას უკეთებს და აღრმავებს პრაქტიკულ, სამეცნიერო-კვლევით და ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს. ამასთან, ინსტიტუცია სტუდენტებს სთავაზობს შესაძლებლობას ჩაერთონ სამეცნიერო კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში. სტუდენტების ინტერვიურების პროცესში დადგინდა, რომ ისინი ფლობენ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციას და მონაწილეობენ სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ხელშეკრულებები კომპანიებთან;
- სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- სტუდენტთა კონფერენციის მასალები;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

| |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>• გარდა სილაბუსებში მითითებული ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოებისა, სასურველია აქცენტი გაკეთდეს მეტ პრაქტიკული ანგარიშებზე. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები |
|---|
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსებში მოცემული სწავლის მეთოდების ანალიზის შედეგად, დასტურდება მეთოდების შესაბამისობა სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან. სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. ამ მიზნით ფუნქციონირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმი, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესში სტუდენტთა შეუფერხებელ ჩართულობას სასწავლო პროცესის დაგეგმვის გზით, მათი შესაძლებლობების, საჭიროებებისა და აკადემიური დონის გათვალისწინებით. |

| |
|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის სწავლის მეთოდები კონცენტრირებულია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნის გამომუშავებაზე და შეესაბამება უმაღლესი განათლების საფეხურს.<br>სწავლების მეთოდების შერჩევისას სასწავლო კურსების განმახორციელებელი პირების მიერ გათვალისწინებულია მეთოდების შესაბამისობა დასახულ მიზანთან, სწავლების მეთოდებისა და სტუდენტთა გამოცდილების ურთიერთმიმართება, საჭირო რესურსები, მათ შორის დროითი და ტექნიკური. სასწავლო კურსებში უმეტესად გამოყენებულია რამდენიმე მეთოდი, რაც კურსის მიზნებისა და შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს. ამასთან, ხორციელდება მეთოდების შერჩევის მონიტორინგი და მათი გამოყენების ეფექტიანობის შეფასება.<br>პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის გამოყენებულია ლექციის, ჯგუფური მუშაობის, ლაბორატორიული სამუშაოების და საწარმოო პრაქტიკის მეთოდები. სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი; პრაქტიკული მეცადინეობის მეთოდი; პროექტზე მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი გადაცემა; ახსნა-განმარტება; დემონსტრირების მეთოდი; კოოპერაციული სწავლება; წიგნზე/წყაროზე მუშაობის მეთოდი; დისკუსია/დებატები; წერა, როგორც სწავლების მეთოდი; აუდიო-ვიზუალური მეთოდები; პრეზენტაცია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;<br>• პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>• განხორციელებული ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება** |

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან შესაბამისია.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივესიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტისა და სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად სემესტრის განმავლობაში გამოიყენება ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა, კერძოდ კი შუალედური შეფასება და დასკვნითი გამოცდა, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას. საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი, ღია კითხვები, საკურსო ნაშრომი, პრეზენტაცია და ა.შ) გამოკითხვა. დასკვნითი გამოცდის ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც არ აღემატება 60%-ს და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. აღსანიშნავია, რომ ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში გვხვდება ქულების გადანაწილების შემდეგი სისტემა - 20 ქულა ეთმობა შუალედურ გამოცდას, 40 ქულა დასკვნით შეფასებას და დარჩენილი 40 ქულა მიმდინარე შეფასებაა, რომელიც სხვადასხვა სასწავლო კურსების მიხედვით მოიცავს შეფასების მრავალფეროვან კომპონენტებსა და მეთოდებს, რასაც ვერ ვიტყვით შუალედური და დასკვნითი გამოცდების შემთხვევაში, რომელიც უფრო მეტად უნიფიცირებულია და შეფასების კრიტერიუმები უმრავლესი სასწავლო კურსისათვის იდენტურია. სასურველია, შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების ფორმების გამრავალფეროვნება, კურსის სპეციფიკისა და სწავლის შედეგების შესაბამისად.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია ელექტრონულ სასწავლო პორტალზე და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. ამასთან, შემფასებლისთვის ცნობილია შეფასების თანამედროვე მეთოდები და ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას ინსტიტუციის მხრიდან. უნივერსიტეტს დანერგილი აქვს შეფასებისა და უკუკავშირის გაზიარების ეფექტური მექანიზმები. შეფასების ობიექტურობის მიზნით, საგამოცდო ნაშრომები დაშიფრულია და ამასთან, ბსუ-ს ელექტრონული პორტალის მეშვეობით, ლექტორის მიერ შეფასების ასახვისას აუცილებელია უკუკავშირის გაზიარება სტუდენტისათვის. სტუდენტები ასევე ინფორმირებულნი არიან აპელაციის წესისა და მექანიზმების შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვით. ნაშრომი ფასდება ერთჯერადად დადგენილი წესის შესაბამისად და იმავე სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების, საავტორო უფლებების, სამეცნიერო კვლევების ეთიკური ნორმების და სტანდარტების დაცვას პლაგიატის პრევენციული ღონისძიებების გამოყენებით. ამ მიზნით ხდება სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირება აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პრინციპების თაობაზე, ხოლო ყველა სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება ანტიპლაგის პროგრამის მეშვეობით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- 2015 წლის 8 ოქტომბერის, დადგენილება №111 „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ (შევიდა ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 აგვისტოს N61 დადგენილებით, შევიდა ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის N20 დადგენილებით). https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_4958_1.pdf
- 2018 წლის 20 თებერვლის დადგენილება # 23 „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის
- დამტკიცების შესახებ”;
- ბსუ-ს აკადემიურის საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის №06-01/71 დადგენილება ,,ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების ფორმების გამრავალფეროვნება, კურსის სპეციფიკისა და სწავლის შედეგების შესაბამისად.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სასწავლო პერსონალთან და წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიურ მიღწევებზე, სწავლების გაუმჯობესებაზე და დასაქმებაზე კონსულტაციას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ გამოვლინა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. მათ შორის, ახდენენ სტუდენტთა კონსულტირებას, რომელიც გათვალისწინებულია მათ დატვირთვაში, წინასწარ განსაზღვრული საკონსულტაციო საათების შესაბამისად.

ინტერვიუს დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ადგილობრივ პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში, თუმცა პროგრამა ნაკლებად იყენებს უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირებს. პროგრამა ჯერჯერობით განიცდის სტუდენტთა ნაკლებობას და მათი რაოდენობის ზრდასთან ერთად პროგრამის გამოწვევაა ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესება და სტუდენტთა ჩართულობის წახალისება.

უნივერსიტეტს აქვს მოწესრიგებული, თანამედროვე ელექტრონული მართვის სისტემა, რომელსაც აქტიურად იყენებენ, როგორც სტუდენტები, ასევე აკადემიური პერსონალი და სისტემა ეფექტურად უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის შესაბამისი უკუკავშირისა და სერვისების მიწოდებას. აღნიშნული სტუდენტური პორტალი გამოირჩევა თავისი მულტიფუნქციური შესაძლებლობებით, რითაც მარტივდება სტუდენტური სერვისებით სარგებლობა, უზრუნველყოფილია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ეფექტური კომუნიკაცია.

უნივერსიტეტი ფაკულტეტთან ერთად სტუდენტური პორტალის საშუალებით ახდენს დამამთავრებელი კურსის სტუდენტთა ინფორმირებას ვაკანსიების შესახებ და აკავშირებს მათ პოტენციურ დამსაქმებლებთან, უწევს რეკომენდაციას შერჩეულ კანდიდატურას და ეხმარება დამწყებ ინჟინერს პროფესიულ წინსვლაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის სტუდენტურ სერვისებთან დაკავშირებული პროცედურები;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია გააქტიურდეს მუშაობა საერთაშორისო კონფერენციებში და გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

| |
|---|
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>• მისასალმებელი პრაქტიკაა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სტუდენტური პორტალი, რომელიც გამოირჩევა თავისი მულტიფუნქციური შესაძლებლობებით. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
|---|
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომი სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი და საჭიროების შემთხვევაში ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი, რომელთაც აქვთ საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება, რაც დასტურდება აკადემიური პერსონალის პირადი საქმეებით და მათი კვლევითი ან/და პრაქტიკული საქმიანობით. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მიხედვით სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბსუ-ს პროფესორი/ასოცირებული პროფესორი ან დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ასისტენტ პროფესორი/სამეცნიერო თანამდებობის პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია სამაგისტრო ნაშრომის მიმართულებით.<br>თემის შერჩევა ხორციელდება სტუდენტისა და პოტენციური ხელმძღვანელის მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე. ხელმძღვანელი და პოტენციური ხელმძღვანელი შეირჩევა საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე. ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს სტუდენტთან, რისთვისაც მას დატვირთვაში გამოეყოფა საკონსულტაციო საათები. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება საკვლევი თემის სპეციფიკას. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს სტუდენტს, როგორც ნაშრომის თეორიული ნაწილის მომზადებაში, ასევე სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში. ხელმძღვანელი არამარტო კონსულტირებას უწევს სტუდენტს კვლევით პროცესში, არამედ ეხმარება სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესში. |

| |
|---|
| დისტანციური ვიზიტის ფარგლებში, შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ მოწოდებული სამაგისტრო ნაშრომები, რომელთა უმეტესობა თემატიკის და შესრულების მხრივ იყო საინტერესო და გამართული. თუმცა, შესამჩნევია, რომ ბოლო წლების განმავლობაში არ არის სამაგისტრო ნაშრომი დაცული ნავთობისა და გაზის მოპოვების თემატიკაზე. ინსტიტუციის ინფორმაციით ეს განპირობებულია შესაბამისი მიმართულებით სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელის არყოლით. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელ(ებ)ის უზრუნველყოფა ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;<br>• პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>• უნივერსიტეტის სტუდენტურ სერვისებთან დაკავშირებული პროცედურები;<br>• ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილება;<br>• საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;<br>• განხორციელებული ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• რეკომენდებულია პროგრამამ უზრუნველყოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეთავაზება ნავთობისა და გაზის მოპოვების თემატიკის კვლევით დაინტერესებული სტუდენტებისათვის. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

| |
|---|
| ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამას ახორციელებს 10 აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის 3 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი და 3 ასისტენტ-პროფესორი. პროგრამის განხორციელებაში ასევე ჩართულია 7 მოწვეული პერსონალი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დასაქმება უნივერსიტეტში მოხდა მოქმედი კანონმდებლობისა და ბსუ-ს რეგულაციების შესაბამისად. პერსონალის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და ფუნქციებთან. პროგრამაში ჩართული 10 აფილირებული აკადემიური პერსონალიდან, 9 უძღვება სფეროს შესაბამის სასწავლო კურსებს. მათ შორის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების განმახორციელებელ 8 აკადემიურ პერსონალს შორისაა:

- 3 პროფესორი, სამივე პერსონალი გახლავთ ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი/კანდიდატი;
- 2 ასოცირებული პროფესორი, ორივე ასოცირებული პროფესორი გახლავთ ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი;
- 3 ასისტენტ პროფესორი, მათ შორის ორი - ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ხოლო ერთი აგროინჟინერიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუებით დასტურდება სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალის კომპეტენცია შესაბამის დარგში სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნითა და პრაქტიკული გამოცდილებით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის პროცესში გამოიკვეთა პროგრამის საჭიროება ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულებით ადამიანური რესურსის გაზრდის მიმართულებით.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით (მონოგრაფია, სტატია, სახელმძღვანელო, რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და სხვა;), ასევე პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლით სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო საგრანტო პროექტებში.

ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად, პროგრამის საჭიროებების გათვალისწინებით. უსდ-ში მოქმედებს „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი“ მასში გაწერილია აკადემიური თანამდებობის დაკავების წესები, რომელიც შეესაბამება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებს, კერძოდ, ამავე დოკუმენტშია აღწერილი კონკურსის პირობები, დოკუმენტაციის მიღების პროცედურები, კონკურსანტთა შეფასების ეტაპები, გადაწყვეტილების მიღების პროცესი. მოწვეული პერსონალის შერჩევა ასევე ხდება კონკურსის წესით და დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.

უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა შესაბამისია სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, სტუდენტთა კონსულტირების და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სხვა ღონისძიებების განხორციელებისათვის. უნივერსიტეტს გააჩნია პერსონალის სემესტრულად განახლებადი

| |
|---|
| დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო დატვირთვას და სხვა დატვირთვას პერსონალის საქმიანობიდან გამომდინარე და ასევე, განსაზღვრულია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა და დატვირთვა.<br>საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია კვალიფიციური პროგრამის ხელმძღვანელებით და პროგრამის განხორციელებას ასევე ხელს უწყობს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის კვალიფიციური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, დასტურდება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>• პერსონალის პირადი საქმეები;<br>• პერსონალის აქტივობის მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში;<br>• "ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი“;<br>• „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი“;<br>• ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი”;<br>• „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი“;<br>• „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი“;<br>• განხორციელებული ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• რეკომენდებულია ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულებით ადამიანური რესურსის რაოდენობის გაზრდა. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება** |

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანთლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შეფასება სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების მიმართულებით. უსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებულია აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების სრულყოფა და მართვის პროცესში მათი გამოყენების მექანიზმების დახვეწა, რისთვისაც ცალ-ცალკე შემუშავებულია ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობისა და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესები.

სასწავლო საქმიანობის შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: პროფესორ-მასწავლებლის ჩართულობა სასწავლო მასალის, სილაბუსებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესში; სასწავლო პროცესის მონიტორინგი; სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა.

გარდა ამისა, ასევე ხორციელდება სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება სამეცნიერო ღონისძიებებსა და მათ ორგანიზებაში მონაწილეობის, სამეცნიერო საგრანტო პროექტებში ჩართულობის, სამეცნიერო ნაშრომების ხარისხობრივი ანალიზის, სამეცნიერო პროექტებში დოქტორანტებისა ან/და მაგისტრანტების ჩართვის, საბაკალავრო, სამაგისტრო ან/და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობისა და სხვ.; შეფასების შედეგები განისაზღვრება ძალიან კარგი, კარგი, დამაკმაყოფილებელი და შეფასების გარეშე შედეგით. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, შემუშავებული რეკომენდაციები და ანგარიში წარედგინება ფაკულტეტის დეკანს და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ხოლო მათ მიერ საბოლოო ანგარიში შეფასების შედეგად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რეკომენდაციების სახით წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს და აკადემიურ საბჭოს.

საქმიანობის შეფასების პროცესში აქტიურად გამოიყენება შეფასების ელექტრონული

| |
|---|
| სისტემა (სტუდენტური პორტალი), დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ინფორმირებისა და ჩართულობის მიზნით. ელექტრონული პორტალის მრავალფუნქციური მოდული უზრუნველყოფს ინფორმაციის ეფექტურ მიწოდებას, მუდმივ უკუკავშირსა და განვითარების აქტივობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.<br>უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების პრაქტიკა, რომლის შესაბამისად განსაზღვრულია აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებაში (კონფერენციაზე, სემინარზე, კონგრესზე, ფორუმზე, ტრენინგზე, სეზონურ სკოლაში ან/და სხვა სამუშაო შეხვედრაზე) მონაწილეობის დაფინანსების მოპოვებასთან დაკავშირებული პროცედურები.<br>ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ფარგლებში ასევე ხორციელდება პროფესორ-მასწავლებელთა სერვისებით კმაყოფილების კვლევა. აღნიშნული გამოკითხვის შედეგად პერსონალი აფასებს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, უნივერსიტეტის მხრიდან მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, მივლინების საკითხებს და ა.შ.<br>აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს ფინანსურ წამახალისებელ აქტივობებს როგორც სწავლა-სწავლების გაუმჯობესების თვალსაზრისით, ისე სამეცნიერო საქმიანობის განსავითარებლად. უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს შეუძლია მიმართვის საფუძველზე კვლევითი პროექტების დაფინანსების მიღება.<br>ვინაიდან, გამოიკვეთა რეკომენდაცია სილაბუსებში სწავლის შედეგების ჩამოყალიბების და ცოდნის გამოყენების დონის განსაზღვრის მიმართულებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილი იქნება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებასა და ფორმულირებასთან დაკავშირებით შესაბამისი ტრენინგის ან/და სხვა ღონისძიებების შეთავაზება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>• ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;<br>• ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/92 დადგენილება ,,ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“;<br>• ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №66 დადგენილება „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;<br>• ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/93 დადგენილება „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;<br>• ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“;<br>• ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება №04 (კოდიფიცირებული) „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის |

| |
|---|
| დამტკიცების თაობაზე“;<br>• აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის შეფასება;<br>• განვითარების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია;<br>• ბსუ-ს ბრძანება №02-02/43 „2017-2018 წლიდან ბსუ-ს აკადემიური პერსონალის ბსუ-სთან აფილირების განსაზღვრის შესახებ“;<br>• განხორციელებული ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• მიზანშეწონილია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებასა და ფორმულირებასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების ორგანიზება. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 4.3 მატერიალური რესურსი |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |

| |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს ბსუ-ს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, მატერიალური რესურსი და საბიბლიოთეკო რესურსები.<br>უსდ-ს სასწავლო მეცადინეობების ჩატარებისათვის უზრუნველყოფილი აქვს შესაბამისად აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიები, კომპიუტერული ლაბორატორიები და აუდიტორიები. გარდა ამისა, პარტნიორ კომპანიებთან არსებული თანამშრომლობის ფარგლებში, სტუდენტები სარგებლობენ პრაქტიკული მონაცემებით, რომელსაც იყენებენ სამაგისტრო და კვლევითი ნაშრომების შესრულებისას.<br>ბსუ-ს ბიბლიოთეკა აღჭურვილია სათანადო ტექნიკით და სამკითხველო სივრცეებით. უნივერსიტეტი სტუდენტებს და თანამშრომლებს საშუალებას აძლევს გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები: EBSCO Publishing (http://search.epnet.com), Cambridge University Press (http://journals.cambridge.org), Royal Society Journals Collection (http://royalsocietypublishing.org), BioOne (http://www.bioone.org).<br>პროგრამის შესაბამისი ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია და უმეტესად გაციფრულებულია, იძებნება ბიბლიოთეკაში და სტუდენტს შეუფერხებლად მიეწოდება მოთხოვნისამებრ. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ბიბლიოთეკა ახორციელებს საინფორმაციო შეხვედრებს ბიბლიოთეკის რესურსებისა და სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• ბსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;<br>• ბსუ-ს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი და სერვისები;<br>• ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან;<br>• განხორციელებული ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება** |

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების – ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით. ბსუ-ის ცენტრალურ ბიუჯეტში გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფინანსური მხარდაჭერა. უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა კი ეკონომიკურად მიღწევადია.

მიუხედავად იმისა, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს მხოლოდ ხელფასების ხარჯვით ნაწილს, ვიზიტისას გამოვლენილი მონაცემების საფუძველზე დადგინდა რომ უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები სარგებლობენ სხვადასხვა ხელშემწყობი ღონისძიებებით. მიუხედავად იმისა, რომ საუნივერსიტეტო ბიუჯეტით დაბალანსებულია პროგრამის განხორციელებისათვის გაწეული ხარჯები და შემოსავლები, სასურველია თავად პროგრამის ბიუჯეტში იყოს დეტალურად გაწერილი ის თანხები, რაც უსდ-ის ცენტრალური ბიუჯეტიდან ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალისა და სტუდენტების ხელშეწყობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისთვის იხარჯება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის ბიუჯეტი;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები;

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>• სასურველია პროგრამის ბიუჯეტში იყოს დეტალურად გაწერილი ის თანხები, რაც უსდ-ის ცენტრალური ბიუჯეტიდან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალისა და სტუდენტების ხელშეწყობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისთვის იხარჯება. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | X | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ბსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის, 17 ივლისის №10 გადაწყვეტილებითა და „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილებით. აღნიშნული მექანიზმები გულისხმობს უსდ-სა და შესაბამისად პროგრამის საქმიანობის უწყვეტ შეფასებას. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტური განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობას და მონიტორინგს კოორდინირებას უწევს როგორც საუნივერსიტეტო, ისე საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და კოორდინატორები დარგობრივ დეპარტამენტებში. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას. სამსახური ასევე უზრუნველყოფს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერიოდულ მონიტორინგს და მიღებული უკუკავშირის შედეგად - პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლის შესაბამისად.
უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა გამოკითხვებისა და აკადემიური მოსწრების დამუშავების ელექტრონული სისტემა, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამებისა და აკადემიური პერსონალის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს. ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით ტარდება ყველა დაინტერესებული მხარის გამოკითხვა. საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობენ პროგრამის კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი.
პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად.
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით (დადგენილება #06-01/83. 14 დეკემბერი 2020 წ.) ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები“ შემუშავების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ფაკულტეტის დეკანი,

| |
|---|
| პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, მათ შორის დარგის სპეციალისტები, დამსაქმებელი, სტუდენტი და კურსდამთავრებულები. სამუშაო ჯგუფმა მოამზადა საგანმანათლებლო პროგრამა, თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია, რომლებიც განსახილველად და შესაფასებლად გადასცა კურიკულუმის კომიტეტს. სამუშაო ჯგუფისა და კურიკულუმის კომიტეტის მუშაობას კოორდინაციას უწევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;<br>• პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>• „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“<br>• „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“<br>• „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“<br>• ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები, გამოკითხვები<br>• სამუშაო ჯგუფისა და კურიკულუმის კომიტეტის ოქმები<br>• განხორციელებული ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, პროგრამის განვითარების კომიტეტსა და გარე ექსპერტის შეფასებას და თანამშრომლობს უცხოეთისა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან.

„ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის კოლეგიური შეფასება გარე შემფასებლის მიერ. რეცენზირებისათვის პროგრამა გაზიარებულ იქნა სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ნავთობის და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელთან. პროგრამა შეფასებულ იქნა დადებითად, აღინიშნა პროგრამის მნიშვნელობა, პოტენციალი, ძლიერი მხარეები და განვითარების შესაძლებლობები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები;
- პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები;

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შესაბამისად გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მუდმივი განვითარებისათვის ხორციელდება პერიოდული შეფასება და მონიტორინგი.

ტარდება გამოკითხვები აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების ჩართულობით, ხდება შესაბამისი მონაცემების გაანალიზება და შემდგომი საჭიროებების იდენტიფიცირება. სასწავლო პროცესის მონიტორინგი სალექციო მიმდინარეობის და გამოცდების მონიტორინგს, აკადემიური მოსწრების ანალიზს, სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასებას და შედეგების ანალიზს.

პროგრამის განხორციელების პროცესში, სტუდენტთა გამოკითხვისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, დგინდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევის დონე. აღნიშნული შეფასების მექანიზმების გამოყენებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად ახორციელებს რეკომენდაციების შემუშავებას, რომლის საფუძველზეც ხდება პროგრამის განვითარება. რეკომენდაციები განიხილება დარგობრივ დეპარტამენტებში, ფაკულტეტის საბჭოსა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომებზე. ასევე, განიხილება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა წინადადებები მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რაც, შეიძლება, გახდეს სასწავლო კურსების ჩანაცვლების ან/და არჩევითი სასწავლო კურსების დამატების, სწავლების მეთოდების, სასწავლო მასალების და ლიტერატურის განახლების საფუძველი.

უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, ხორციელდება ადგილობრივი ანალოგი პროგრამების შესწავლა და დადარება, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების და თანამედროვე სტანდარტებთან და მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კონკრეტულ შემთხვევაში, პროგრამის უნიკალურობიდან გამომდინარე, შესწავლილ იქნა მსგავსი

| |
|---|
| პროგრამები საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ასევე, მოხდა გამოცდილების გაზიარება კანადისა და ბაქოს უნივერსიტეტებთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის, 17 ივლისის №10 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“;<br>• ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები;<br>• აკადემიური მოსწრების დამუშავების ელექტრონული სისტემა;<br>• ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 29 ივნისის №46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;<br>• ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის, 27 ოქტომბრის №104 დადგენილება - „ბათუმის შოთა<br>• რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული შეფასების შედეგების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“;<br>• ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;<br>• განახორციელებული ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

| |
|---|
| ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

### თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

### უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები, მაგისტრატურა

### დასკვნის გვერდების რაოდენობა: 46

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | X | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | X | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: თამთა ცხოვრებაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: გიორგი დურგლიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა: გიორგი რობაქიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა: დავით ფუტკარაძე